Georgian Association of Endocrinology and Metabolism
საქართველოს ენდოკრინოლოგიისა და მეტაბოლიზმის ასოციაცია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

რ ე ც ე ნ ზ ი ა

მეტაბოლური სინდრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან და აქტუალურ სამედიცინო პრობლემას, რომლის დროული დიაგნოსტირება, სწორი მართვა და რევერსია უმნიშვნელოვანესია ისეთი სერიოზული ქრონიკული დაავადებების განვითარების თავიდან ასაცილებლად, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, ათეროსკლეროზული კარდიოვასკულური დაავადება, ჰიპერტენზია, ღვიძლის გაცხიმოვნება და სხვ. მეტაბოლური სინდრომის დიაგნოსტიკისა და მართვის თანამედროვე მიდგომების ცოდნა აუცილებელია ოჯახის ექიმებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ მეტაბოლური სინდრომის მქონე პაციენტთა აღმოჩენის, სწორი მართვისა და შესაბამის სპეციალისტებთან გადამისამართების პირველად სამედიცინო რგოლს. ასეთი პაციენტების დროული იდენტიფიკაცია და სწორი მართვა უდიდესი მნიშვნელობისაა როგორც თითოეული პაციენტისთვის, ასევე, პრობლემის სიხშირისა და აქტუალობის გათვალისწინებით, ზოგადად პოპულაციისთვის.

საოჯახო მედიცინის ასოციაციამ, საქართველოს ჰიპერტენზიის საზოგადოებასთან თანამშრომლობით მოამზადა ზოგად საექიმო პრაქტიკაში მეტაბოლური სინდრომის მართვის გაიდლაინი. არსებული გაიდლაინი 2010 წლის შემდეგ არ განახლებულა და საკითხის მნიშვნელობიან გამომდინარე მომზადდა განახლებული ვერსია.

აღნიშნული დოკუმენტი ეყრდნობა უახლეს სამედიცინო ინფორმაციასა და რეკომენდაციებს, რომლებითაც სარგებლობენ ევროპისა და ამერიკის ჯანდაცვის სისტემის დაწესებულებები.

პროტოკოლი დიდ დახმარებას გაუწევს ოჯახის ექიმებსა და შინაგანი მედიცინის სპეციალისტებს მეტაბოლური სინდრომის მქონე პაციენტთა სწორ შეფასებასა და მართვაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე საოჯახო მედიცინის ასოციაციის მიერ წარმოდგენილ “ზოგად საექიმო პრაქტიკაში მეტაბოლური სინდრომის მართვის” გაიდლაინს.

პატივისცემით,
საქართველოს ენდოკრინოლოგიისა და მეტაბოლიზმის ასოციაცია
დამფუძნებელი და აღ. დირექტორი: ნათია ვაშაყმაძე
თარიღი: 08.12.2025

საქართველოს ენდოკრინოლოგიისა
და მეტაბოლიზმის ასოციაცია

ს/კ: 405283580
www.gaem.ge